საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება №6/16

ქ.თბილისი

"2" ივნისი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძესთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

"მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1, მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში "კომისია") აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძეს უფლებამოსილება, რათა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახელით მოაწეროს ქ. თბილისში, 2016 წლის 30 მაისს - 3 ივნისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომუნიკაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროში გამართული შეხვედრების ოქმებს (მობილური სიგნალების კოორდინაციასა და FM რადიო და ციფრული ტელევიზიების კოორდინაციის საკითხებთან დაკავშირებით);

2. დაევალოს ს. შავგულიძეს შეხვედრის ოქმის კომისიისთვის წარმოდგენა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ს. შავგულიძის განცხადება კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით (02.06.16. შ-№10/5116-16).

კომისიის თავმჯდომარე **ვ. აბაშიძე**